ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

16 იანვარი 2025 წ.

KA000035925814225

№ **25/357**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი ბონდარენკოს

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae)
ბრალდებულ მზია ამაღლობელის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცვლის აპარატში წარმოდგენილია განცხადება, რომელიც შეეხება მზია ამაღლობელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების დაუსაბუთებლობას.

აპარატში წარმოდგენილია დადგენილება ბრალდების შესახებ, პროკურორის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 14 იანვრის განჩინება და ადვოკატის სააპელაციო საჩივარი განჩინების გაუქმების თაობაზე.

ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, 2025 წლის 12 იანვარს, დაახლოებით 00:50 საათზე, ქალაქ ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა № 11ა-ში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობასთან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით, იმყოფებოდა [redacted] რომელიც ადგილზე შეკრებილ მოქალაქეებს უსსნიდა მიმდინარე საპროტესტო შეკრების დროს დაკავებული პირების დაკავების საფუძველს. ამავე დადგენილების თანახმად, [redacted] სამსახურებრივი საქმიანობით გაღიზიანებული მზია ამაღლობელი, შურისძიების მოტივით თავს დაესხა [redacted] - ძლიერად მოქაჩა ქურთუკზე, მისკენ მიატრიალა და სახეში დაარტყა ხელი. მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353^1-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

დადგენილებაში მითითებულია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის სავარაუდო ჩადენაზე, არის [redacted] გამოკითხვის ოქმები, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდის დათვალიერების ოქმი, ვებ-გვერდზე განთავსებული ვიდეო ჩანაწერი და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობა.

პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ 13 იანვრის შუამდგომლობაში მიუთითა, რომ სახეზეა პატიმრობის გამოყენების წინაპირობები.

კერძოდ, პროკურორის განმარტებით, დასაბუთებული ვარაუდით, მზია ამაღლობელმა ჩაიდინა პოლიციელზე თავდასხმა, რაც სასჯელის სახედ და ზომად უალტერნატივოდ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით. ხსენებული დანაშაული მიეკუთვნება მძიმე კატეგორიის დანაშაულს. პროკურორის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიმართ დადგება გამამტყუნებელი განაჩენი, დანიშნული სასჯელი აუცილებლად დაკავშირებული იქნება ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთასთან. აღნიშნული გარემოება კი იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ ბრალდებული **თავისუფლებაში ყოფნის პირობებში მიიმალება და არ გამოცხადდება სასამართლოში** და საგამოძიებო ორგანოში, რითიც ხელი შეეშლება გამოძიების ეფექტურად წარმართვასა და მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებას.

პროკურატურა ამავე დოკუმენტში მიუთითებს, რომ მარტოოდენ სასჯელის სიმკაცრე ვერცერთ შემთხვევაში ვერ გახდება ადამიანის ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში ესოდენ მძიმე ჩარევისა და მიმალვის საფრთხის აღსაკვეთად, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძველი. პროკურატურა მიუთითებს, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს თავად ქმედების ხასიათს და ბრალდებულის ქცევას, რაც, პროკურორის განმარტებით, მის არაჯანსაღ დამოკიდებულებებზე მიუთითებს და არაპროგნოზირებადი ქცევის რისკს აფუძნებს. მისი პოზიციით, კონკრეტული ქმედება, რომელშიც სავარაუდოდ გამოიხატა ბრალდებულის დანაშაული, უკიდურესად უარყოფითად ახასიათებს ბრალდებულის პიროვნებას და მოსალოდნელ მკაცრ სასჯელთან ერთობლიობაში მიმალვის საფრთხეს კიდევ უფრო ამაღლებს.

პროკურორის პოზიციით, დასაბუთებული ვარაუდით ჩადენილი ქმედების ხასიათი მნიშვნელოვანია **ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის** შეფასებისთვისაც. შუამდგომლობის მიხედვით, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ნებისმიერ დროს, ანალოგიურ სიტუაციაში ან/და საპროტესტო შეკრებაში მონაწილეობისას, სადაც ბრალდებულს მოუწევს პოლიციის თანამშრომლებთან კომუნიკაცია, შესაძლებელია კვლავ ჩაიდინოს მსგავსი დანაშაულებრივი ქმედება. პროკურორის გადმოცემით, ბრალდებულს უჭირს საკუთარი ემოციებისა და ქცევის კონტროლი, რაც აჩენს მისი მხრიდან ახალი, მსგავსი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენისას, სულ რამდენიმე წუთის განთავისუფლებული იყო დაკავებიდან. ის დაკავებული იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და სწორედ პოლიციის (ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს) დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გათავისუფლდა ხელწერილის საფუძველზე. შესაბამისად, ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებმა ვერ იქონია მასზე შემაკავებელი გავლენა. გათავისუფლებიდან რამდენიმე წუთში, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ჩაიდინა მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ამის გამო, პროკურორის დასკვნით, არარელევანტურია მსჯელობა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობაზე.

პროკურატურა შუამდგომლობაში მიუთითებს, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების წინაპირობას, აგრეთვე, ბრალდებულის მხრიდან **მტკიცებულებების განადგურების საფრთხე** წარმოადგენს. პროკურატურამ აღნიშნა, რომ ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოსაკითხია არაერთი პირი. ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული ვიდეოჩანაწერით დგინდება, რომ მომხდარ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მატარებელი, პოლიციის თანამშრომლების გარდა შეიძლება იყოს არაერთი პირი, რომელთა წრეც დგინდება და უნდა გამოკითხონ გამოძიების მსვლელობისას. პოლიციის თანამშრომლების გარდა, აღნიშნული პირები არიან საპროტესტო შეკრების მონაწილენი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, **ბრალდებულმა შესაძლოა მათზე განახორციელოს არამართლზომიერი ზემოქმედება.**

საბოლოოდ კი პროკურატურა ასკვნის, რომ ბრალდებულისათვის ბრალად შერაცხული ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, მისი პიროვნებისა და დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგენილი, დანაშაულის ჩადენის ვითარების გათვალისწინებით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება წარმოადგენს ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველმყოფ ერთადერთ პროპორციულ ღონისძიებას.

2024 წლის 14 იანვრის განჩინებით სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის პოზიცია როგორც მტკიცებულებების განადგურების პოტენციური რისკის, ისე – დანაშაულებრივი ქმედების განმეორებით განხორციელების მიმართულებით. განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ პროკურორის მიერ დასაბუთებულია ბრალდებულ მზია ამაღლობელის მიმართ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა და სხვა, ნაკლებ მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. მიუთითა, რომ მზია ამაღლობელის ბრალად წარდგენილი ქმედება მიეკუთვნება მძიმე კატეგრიის დანაშაულს, სსკ 353[1] მუხლის პირველი ნაწილით, სასჯელის სახით კი 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისიწნებს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ ბრალდება მოიაზრებს პოლიციელზე თავდასხმას სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ბრალდებული სულ რამდენიმე საათის განთავისუფლებული იყო ადმინისტრაციული დაკავებიდან. ის დაკავებული იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე მუხლით ათვალისწიებული სამართლადარღვევის ფაქტზე და პოლიციის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ხელწერილის საფუძველზე განთავისუფლდა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ *„მართალია, ბრალდებულის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი სამართალდარღვევის ჩადენას, ვიდრე სასამართლოს მიერ არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, ბუნებრივია, მხედველობაში ვერ იქნება მიღებული, თუმცა თავად ფაქტი, რომ ბრალდებული ადმინისტრაციული წესით იყო დაკავებული და დაკავებიდან გათავისუფლების შემდეგ, საჯარო სივრცეში, მაშინ, როდესაც იაზრებდა, რომ მიმდინარეობდა გადაღებები, დასაბუთებული ვარაუდის ფარგლებში* [redacted] *.. დაარტყა სახეში, მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს, რომ ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებმა ვერ იქონია მასზე შემაკავებელი გავლენა და გათავისუფლებიდან რამდენიმე საათში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ჩაიდინა მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული."* სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული გარემოების გამო, მომეტებულია ანალოგიური ქმედების განმეორებით ჩადენის საფრთხე.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მტკიცებულებების განადგურებისა და მოწმეებზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეზეც. აღნიშნა, რომ შესაძლოა ბრალდებულმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით ზემოქმედება მოახდინოს მოწმეებზე და გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, ამდენად, „სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ თუნდაც ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და მისი თავსიუფლების ყოფნის შემთხვევაში აღნიშნული რისკები ვერ იქნება შემცირებული".

კანონმდებლობა და სამართლებრივი სტანდარტები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდეექსის თანახმად, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. [1] აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.[2]

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა.[3]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მიხედვით, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული:

ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;
ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;
გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

სასამართლო უფლებამოსილია ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.[4]

აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.[5]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულის მიმართ შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს: ვალდებულება, დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში; გარკვეული საქმიანობის ან პროფესიის განხორციელების აკრძალვა; სასამართლოში, პოლიციაში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ელექტრონული მონიტორინგი; ვალდებულება გარკვეულ ადგილას ყოფნისა გარკვეულ საათებში ან უამისოდ; გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა; სპეციალური ნებართვის გარეშე გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად.[6]

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია სათანადო საფუძვლის მითითებით უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება და ბრალდებულს შეურჩიოს სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ან საერთოდ არ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება.[7]

პატიმრობის გამოყენებასა და გაგრძელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მდიდარი პრაქტიკა და ჩამოყალიბებული სტანდარტები აქვს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ პატიმრობა გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონით გათვალისწინებული მიზნები სხვაგვარად ვერ იქნება მიღწეული. ამასთან, არ შეიძლება, პატიმრობის გამოყენება დაფუძნებული იყოს აბსტრაქტულ რისკებსა და საფრთხეებე. გადაწყვეტილება გამყარებული უნდა იყოს კონკრეტული, ხელშესახები მტკიცებულებებით.[8]

ევროსასამართლო გადაწყვეტილებაში Wemhoff v Germany აღნიშნავს, რომ ნებისმიერ შეთხვევაში პირი, მის მიმართ სამართალწარმოების მიმდინარეობისას, უნდა დარჩეს თავისუფლებაში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია წარმოაჩინოს „რელევანტური და საკმარისი მიზეზები" პატიმრობის გამოყენების დასასაბუთებლად. [9]

აგრეთვე, სასამართლო მიუთითებს, რომ მიმალვის საფრთხე არ შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმიდან. ის სხვა არაერთ რელევანტურ ფაქტორთან ერთად უნდა შეფასდეს, რომლებმაც შეიძლება დაადასტუროს მიმალვის საფრთხის არსებობა ან იმდენად უმნიშვნელოდ წარმოაჩინოს, რომ წინასწარი პატიმრობა გამართლებული ვერ იქნება.[10]

მიმალვის საფრთხე უნდა შეფასდეს იმ ფაქტორების შუქზე, რომლებიც ეხება პირის პიროვნებას, მის მორალს, საცხოვრებელ ადგილს, საქმიანობას, ქონებას, ოჯახთან კავშირებს და იმ ქვეყანასთან ყოველგვარ კავშირს, სადაც მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება.[11]

გასათვალისწინებელია და ამაზე ადვოკატი სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ ბრალდებული არის საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი აქტიური მედია ორგანიზაციის შპს „გაზეთი ბათუმელების" დირექტორი და 50% წილის მესაკუთრე, წარსულში ნასამართლობის არმქონე, ასევე არ ყოფილა ადმინისტრაციულად სახდელდადებული. აღნიშნულის საპირისპირო პოზიცია არც ბრალდების მხარეს ჰქონია.

რაც შეეხება სამართალწარმოებისთვის ხელშეშლის საფრთხეს, მასზე მითითება არ უნდა ეფუძნებოდეს აბსტრაქტულ რისკს და გამყარებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებით.[12]

აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში მზია ამაღლობელის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების/ მტკიცებულებების განადგურების საფრთხე **სრულიად ეფუძნება აბსტრაქტულ საფრთხეს**. კერძოდ, პროკურორის მიერ წარმოდგენილ პოზიციაში არ გვხვდება ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს კონკრეტულ გარემოებაზე, რომელიც მიანიშნებდა მზია ამაღლობელის მხრიდან მტკიცებულებების განადგურების ან/და მოწმეებზე ზემოქმედების სურვილზე, შესაძლებლობაზე, ან წარსულ „გამოცდილებაზე". ამასთან, პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულია, რომ გამოკითხული არიან მოწმეები და დათვალიერებულია ვიდეოჩანაწერი, რომელიც, ერთვის სისხლის სამართლის საქმეს და წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველსაც. ამგვარად, პროკურატურამ კონკრეტულად უნდა მიუთითოს იმგვარ მოსაპოვებელ მტკიცებულებაზე ან გამოსაკითხ მოწმეებზე, რომელიც გამოძიებისათვის ერთი მხრივ, არსებითი მნიშვნელობისაა და, მეორე მხრივ, რომლის ირგვლივაც არსებობს, განადგურებისა თუ არამართლზომიერი ზემოქმედების ხელშესახები, კონკრეტული რისკი. პროკურორს ამგვარი არგუმენტი შუამდგომლობაში არ დაუსახელებია, ამგვარად, ამგვარი დასაბუთება არც სასამართლოს განჩინებაში გვხვდება.

ცხადია, ნებისმიერი სამართალწარმოების ფარგლებში, სადაც პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს, პოტენციურად ყოველთვის იარსებებს როგორც მიმალვის, ასევე, მოწმეებზე ზემოქმედებისა და მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის საფრთხე. თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა და რაც ევროპულ სასამართლოს არაერთხელ აქვს გამყარებული პრეცედენტულ სამართალში, აღნიშნული საფრთხე უნდა იყოს კონკრეტულად დასაბუთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში შორეულ და აბსტრაქტულ რისკებზე მითითებით პატიმრობის გამოყენება შესაძლებელი, ფაქტობრივად, ყველა შემთხვევაში იქნებოდა.

აღნიშნულ მსჯელობას ადვოკატი სააპელაციო საჩივარშიც ავითარებს, სადაც მიუთითებს, რომ „ჰიპოთეტურად მსგავსი არგუმენტის მითითება ნებისმიერ საფუძველზე შეიძლება, მაგრამ ეს არგუმენტი გამაგრებული უნდა იყოს მტკიცებულებით, უნდა იყოს მითითება, კონკრეტულად რომელი მოწმეა გამოსაკითხი რა ახალი გარემოებებია დასადგენი, სხვა ახალი მიმართულებით მიმდინარეობს თუ არა გამოძიება რაზეც ბრალდების მხარეს არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, მტკიცებულების სახით შეეძლო ბრალდების მხარეს წარმოედგინა თუნდაც ერთი პირის გამოკითხვის ოქმი რომელიც არ იქნებოდა პოლიციის თანამშრომელი, ან გამოკითხვაზე უარის თქმის ოქმი, რითაც შესაძლებელია შექმნილიყო მტკიცებულებათა სტანდარტი, თუმცა მსგავსი სახის მტკიცებულება ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია".

რაც შეეხება ხელახალი დანაშაულის ჩადენას, აღსანიშნავია, რომ როგორც პროკურატურას, ისე - სასამართლოს, მთავარ არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ სადავო ქმედების ჩადენის მომენტისათვის მზია ამაღლობელი რამდენიმე წუთის განთავისუფლებული იყო ადმინისტრაციული დაკავებიდან ხელწერილის საფუძველზე, ხოლო დაკავებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე იყო.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს განჩინებაში მითითებულია, რომ ადმინისტრაციული სასამართლოს სხდომა ჯერ არ გამართულა და სასამართლოს არ აქვს შეფასებული მზია ამაღლობელის დაკავების კანონიერება, ასევე არ აქვს განხილული მის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი. ამდენად, **სადავოა, რამდენად წონად არგუმენტს წარმოადგენს ბრალდებულის ადმინისტრაციული დაკავება, როგორც მისი პიროვნების და კანონდაუმორჩილებლობის მიმართ დამოკიდებულების შეფასების ინდიკატორი მაშინ, როდესაც კანონმდებლობის საფუძველზე, სასამართლოს წესით მზია ამაღლობელის მხრიდან არ არის შეფასებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა.**

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა. პროკურატურა, ისევე როგორც სასამართლო, უშუალოდ მზია ამაღლობელის საქმეზე მსჯელობისას დასკვნის სახით განმარტავს, რომ შეუძლებელია დასახელებული პოტენციური საფრთხეების მართვა სხვა, ნაკლებ მზღუდავი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, თუმცა **არ მიმოიხილავს, მაგალითად, გირაოს გამოყენების შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულზე არის ფინანსური ტვირთი, რომლის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს შეუძლია, და ბრალდებული შებოჭილია ვალდებულებებით, რატომ არ იქნებოდა საკმარისი საფრთხეების დასაზღვევად. კონკრეტულად, მოცემულ საქმეში ან ბრალდებულის წარსულ საქმიანობაში რომელი გარემოება მიუთითებს იმ უპირობო დასკვნის სისწორეზე, რომ საკმარისად შემაკავებელი ეფექტი ვერ ექნებოდა გირაოს ან სხვა ნაკლებ მზღუდავ აღკვეთის ღონისძიებას.**

სასამართლო განჩინებაში საუბრობს სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობაზე, თუმცა კონსტიტუციური უფლებებისა და ძირითადი პრინციპების განმარტებით შემოიფარგლება. დასკვნის სახით კი მიუთითებს, რომ მზია ამაღლობელის შემთხვევაში **ახალი დანაშაულის ჩადენის, მტკიცებულებების განადგურების საფრთხეები ისეთი ხარისხითაა წარმოდგენილი, რომ დაძლეულია აღკვეთის ღონისძიების სახით მხოლოდ პატიმრობის გამოყენების პირობებში.**

სასამართლოსვე განმარტებით, პატიმრობის შუამდგომლობის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი ყოველთვის ბრალდების მხარესაა. სწორედ ბრალდებამ უნდა ამტკიცოს, იმ გარემოებების არსებობა, რაც პატიმრობის საწყის ეტაპზეც და შემდგომშიც, პატიმრობის ვადის ამოწურვამდე, ამართლებს პირის თავისუფლების აღკვეთას. ევროპული სასამართლოს მიდგომით, ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ, შეამოწმონ იმ საჯარო ინტერესის არსებობის დამადასტურებელი ან საწინააღმდეგო ყველა გარემოება, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებთ, ამართლებს გადახვევას ადამიანის თავისუფლების პატივისცემით ზოგადი წესიდან.

ამდენად, პროკურატურას აკისრია ტვირთი, რომ ამტკიცოს პატიმრობის აუცილებლობა, რაც, თავის თავში მოიაზრებს იმის ჯეროვან დასაბუთებას, მართლმსაჯულების ლეგიტიმური და წონადი ინტერესი რატომ ვერ მიიღწევა სხვა, ნაკლებ მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატის საჩივრის მიხედვით, დაცვის მხარე სასამართლოს სთავაზობდა, [redacted] შესაბამისად, თუ სასამართლო ჩათვლიდა, რომ დაცვის მხარის მიერ შემოთავაზებული თანხა ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის ქცევას, თანახმა იყვნენ [redacted] სასამართლოს საკუთარი მიხედულებით განესაზღვრა გირაოს ოდენობა.

დაცვის მხარის თანახმად, თანახმა იყვნენ, რომ გირაოს გამოყენების შემთხვევაში, დამატებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გამოეყენებინა სხვა დამატებითი საშუალებებიც, მათ შორის პასპორტის და სხვა სამგზავრო დოკუმენტის ჩამორთმევა, საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების ვალდებულება, ელექტრონული საშულებით მეთვალყურეობის დაწესება, აგრეთვე, ნებისმიერი დამატებითი საშუალება, რასაც ბათუმის საქალაქო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიიჩნევდა.

სასამართლო 14 იანვრის განჩინებაში არ პასუხობს დაცვის მხარის დასახელებულ არგუმენტებს და გირაოს გამოყენების მიზანშეუწონლობას. მაშინ, როდესაც საქმე შეეხება აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი ფორმის გამოყენებას და ადამიანის თავისუფლების უფლების ყველაზე ინტენსიურ შეზღუდვას, სასამართლოს აკისრია ვალდებულება, რომ ჯეროვნად და დასაბუთებულად შეაფასოს სხვა უფრო ნაკლებ მზღუდავი ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობის საკითხი. მით უფრო, რომ დაცვის მხარის მიერ გირაოსთან ერთად დამატებითი ვალდებულებების დაკისრებაც შეთავაზებული იყო, რაც, გამოყენების შემთხვევაში, ინტენსიურ პასუხისმგებლობას დააკისრებდა ბრალდებულს და, გაუგებარია, შესაბამისად, რატომ ვერ ექნებოდა საკმარისად შემაკავებელი ეფექტი.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ, რომ დაცვის მხარის საჩივრის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღოთ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში მოცემული სამართლებრივი სტანდარტები და იმსჯელოთ პროპორციული აღკვეთის

ღონისძიების გამოყენებაზე, რომელიც იქნება კონკრეტული საფრთხეებით დასაბუთებული, ასეთის არსებობის შემთხევვაში.

დამატებით, გაცნობებთ, რომ გამოვთქვამთ მზადყოფნას ბრალდებულ მზია ამაღლობელის ადვოკატის საჩივრის განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

---

[1] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[2] იქვე, ნაწილი მე-2.

[3] იქვე, ნაწილი მე-3.

[4] იქვე, ნაწილი მე-4.

[5] იქვე, ნაწილი მე-5.

[6] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[7] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

[8] ადამიანის უფლებათ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ბეჩიევი მოლდოვას წინააღმდეგ, Becciev v. Moldova, no. 9190/03; 04/01/2006 § 59.

[9] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ვემჰოფი გერმანიის წინააღმფეგ, wemhoff v Germany no 2122/64, 27 ივნისი 1968; §12.

[10] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე პანჩენკო რუსეთის წინააღმფეგ, Panchenko v. Russia, no. 45100/98; 08/05/2005; § 106.

[11] ადამიანის უფლებათ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ბეჩიევი მოლდოვას წინააღმდეგ Becciev v. Moldova, no. 9190/03; 04/01/2006 § 58.

[12] იქვე, § 59.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი